სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 100

2019 წლის 12 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად“ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სახელობითი სტიპენდიანტების დამტკიცების შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად“ კონკურსის გამოცხადების შესახებ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებით დამტკიცებული ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1173091; 11/09/2019) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად“ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სახელობითი სტიპენდიანტები:

ა) **ნიკო კეცხოველის** სახელობის სტიპენდიანტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-348;**

ბ) **ალექსანდრე ქართველიშვილის** სახელობის სტიპენდიანტი ინჟინერია და ტექნოლოგიების მეცნიერებების მიმართულებით - საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-177;**

გ) **ივანე ბერიტაშვილის** სახელობის სტიპენდიანტი სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით - საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-002;**

დ) **დავით სარაჯიშვილის** სახელობის სტიპენდიანტი აგრარული მეცნიერებების მიმართულებით- საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-297;**

ე) **დიმიტრი უზნაძის** სახელობის სტიპენდიანტი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით - საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-081;**

ვ) **ივანე ჯავახიშვილის** სახელობის სტიპენდიანტი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით - საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-190;**

ზ) **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელობის სტიპენდიანტი საქართველოს შესწავლელი მეცნიერებების მიმართულებით - საკონკურსო განაცხადის შიფრი **YSS-19-320.**

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა გამარჯვებულმა სახელობითმა სტიპენდიანტებმა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
   საბანკო ანგარიში, სადაც მოხდება სტიპენდიის თანხის ჩარიცხვა (2019 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით).
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ გამარჯვებულ სახელობით სტიპენდიანტებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არაუგვიანეს 2019 წლის 11 ოქტომბრისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია